BK2 Cor Out-220602-01_

CCEH
Caucasus Clean Energy Holding

შპს ბახვი 2
მზია ჟუღელის ქ. 10,
თბილისი 0105
www.cceh.ge
Tel: +995 32 224 4990

საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინიტროს
სსიპ „გარემოს ეროვნული სააგენტო"-ს უფროსის მოვალეობის შემსრულებელს, ბატონ თეიმურაზ
მთივლიშვილს

ბატონო თეიმურაზ,

გაცნობებთ, რომ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე, მდ. ბახვისწყალზე დაგეგმილი ბახვი 2 ჰესის მშენებლობის და ექსპლუატაციის პროექტზე საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის 2020 წლის 23 აპრილის N2-356 ბრძანებით, გაცემულია გარემოსდაცვითი გადაწყვეტილება. პროექტის შემდგომ ეტაპზე, შპს „ბახვი 2"-ის მიერ ჩატარებული დამატებითი კვლევების შედეგებიდან გამომდინარე, მიღებული იქნა გადაწყვეტილება პროექტის ოპტიმიზაციის თაობაზე, რაც ითვალისწინებს ერთი მაღალდაწნევიანი სქემის ნაცვლად ორი სადგურის ბახვი 2ა-ს და ბახვი 2ბ-ს მოწყობას. პროექტში შეტანილი ცვლილებების ძირითადი მიზანია, სამშენებლო სამუშაოების მოცულობის და შესაბამისად გარემოზე ზემოქმედების რისკების შემცირება.

წარმოგიდგენთ ბახვი 2 ჰესის პროექტში შეტანილი ცვლილებების (ექსპლუატაციის ცვლილების) და ელექტროგადამცემი ხაზის პროექტის სკოპინგის ანგარიშს და გთხოვთ თქვენს დასკვნას.

წერილს თან ერთვის:

- ბახვი 2 ჰესის პროექტში შეტანილი ცვლილებების (ექსპლუატაციის ცვლილების) და ელექტროგადამცემი ხაზის პროექტის სკოპინგის ანგარიში - ერთი ეგზემპლიარი ნაბეჭდი ვერსია;
- სკოპინგის ანგარიშის დანართი ერთი - ეგზემპლიარი ნაბეჭდი ვერსია;
- დოკუმენტაციის ელექტრონული ვერსიები და დაგეგმილი საქმიანობის განხორციელების ტერიტორიების გეოგრაფიული კოორდინატები SHPs ფაილების სახით;
- ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან შპს „ბახვი 2"-ს რეგისტრაციის თაობაზე.

პატივისცემით

შპს „ბახვი 2"-ს დირექტორი
მიხეილ ნიბლაძე

ს.ს.ი.პ. გარემოს ეროვნული სააგენტო
„02" 06 2022 წ.
№ 1992